დაცვის უფლების რეალიზაცია მოსამართლის მიერ ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლისას

ლიკა პოპოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლ.პოპოვა, 2024“

აბსტრაქტი

ქართული სისხლის სამართლის პროცესი აგებულია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე. მოსამართლემ, მიუხედავად აღნიშნული პრინციპის ფარგლებში მინიჭებული ნეიტრალური არბიტრის სტატუსისა, გარკვეული ასპექტით შეინარჩუნა დამოუკიდებლად მოქმედებისა და ინიციატივის თავისუფლება. აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით განაჩენში ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლა, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით რეგულირდება. მოსამართლის ეს პრეროგატივა არ არის დამოკიდებული დაცვის მხარის შუამდგომლობაზე და ბრალდებულის ინფორმირების გარეშე მოქმედებს.

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს დაცვის უფლების არსსა და მის შემადგენელ ელემენტებს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შესაბამის ნორმებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან მიმართებით, ბრალდების უცვლელობის პრინციპს, ასევე, მიმოიხილავს, თუ მოსამართლის მიერ კვალიფიკაციის შეცვლისთვის საჭირო კრიტერიუმებსა და პროცედურას. ნაშრომი აანალიზებს დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, გამოჩენილი იურისტებისა და მკვლევრების სტატიებს.

ნაშრომი მიზნად ისახავს შეაფასოს, მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით განაჩენში ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლის ზეგავლენა ბრალდებულის დაცვის უფლების რეალიზაციის ფარგლებზე. კვლევის მიზანია, წვლილი შეიტანოს სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის უფლებების კვლევაში, ასევე, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხის კვლევაში.

წინამდებარე ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შეფასება, შეჯამება, შედეგები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კვალიფიკაციის შეცვლა, დაცვის უფლება, შეჯიბრებითი პროცესი, სამართლიანი სასამართლოს უფლება, ბრალი.

Abstract

The Georgian criminal justice process is built on the principle of competition and equality. The judge, despite the status of a neutral arbitrator granted within the framework of the mentioned principle, in a certain aspect preserved the freedom of independent action and initiative. One of the visible manifestations of this is the change of qualification of charges in the verdict by the judge on his own initiative, which is regulated by the first part of Article 273 of the Code of Criminal Procedure. This prerogative of the judge does not depend on the motion of the defense and operates without informing the accused.

This paper reviews the essence of the right to defense and its constituent elements, the relevant norms of the Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms in relation to the right to a fair trial, the principle of the immutability of the accusation, Also, it will review the criteria and procedure necessary for changing the qualification by the judge. The paper analyzes the practice, standards and recommendations of the general courts of Georgia and the European Court of Human Rights, articles of prominent lawyers and researchers in relation to the named issues.

The paper aims to evaluate the impact of changing the qualifications of the charges in the verdict by the judge on his own initiative on the scope of the defendant's right to defense. Its purpose is to contribute to the research of the rights of the defense party in the criminal process, as well as to the research of the issue of ensuring the equality of the parties within the framework of the competitive process.

Key words: change of qualifications/accusation, right to defense/protection, adversary system, right to a fair trial, Charge.